



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველოს თვრის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	11
ფულადი ბაზარი	14
მონეტარული აგრეგატები	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია

2023 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 0.3% შეადგინა, ხოლო ივნისთან შედარებით ფასების საერთო დონე თითქმის არ შეცვლილა.


საქართველოში წლიური ინფლაციის შემცირება გრძელდება. საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ფასები ძირითადად იკლებს, ბოლოდროინდელი გაძვირების მიუხედავად ნავთობის ფასები წლიურად შემცირებულია, ხოლო საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულება პანდემიამდელ დონეს დაუახლოვდა. ეს ტენდენციები საქართველოს ბაზარს გადმოეცემა და გამყარებული ლარის კურსის ფონზე ინფლაციას ამცირებს. ინფლაციის შემცირებას გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკაც ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია 0.0% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლიური ინფლაცია 0.3% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ფასების დონე საერთო ჯამში თითქმის არ შეცვლილა, თუმცა აღსანიშნავია ბენზინის 3.4%-ით გაძვირება, რამაც თვის ინფლაციაზე 0.1 პროცენტული პუნქტით (პპ) გაზარდა.

გასულ თვეში გაძვირების მიუხედავად ბენზინის ფასები წლიურად საშუალოდ 29.8%-ით იყო შემცირებული, ხოლო გავლენა ინფლაციაზე უარყოფით 1.3 პპ-ს შეადგენდა. წლიურად 37.5%-ით იყო გაიზარებული დიზელი, ხოლო მისი გავლენა ინფლაციაზე 0.5 პპ-ს შეადგენდა.

სურსათის ფასები წლიურად ჯამში 0.8%-ით იყო გაზრდილი. სურსათიდან გამოსარჩევია მზესუმზირის ზეთი, რომელიც ინფლაციას 0.7 პპ-ით ამცირებდა, ხოლო კარტოფილი და ძროხის ხორცი ჯამში დაახლოებით ამდენითვე ზრდიდა. ივლისში სხვა პროდუქტებიდან გამოსარჩევი ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტების გაიზარდა იყო, რაც ჯამში ინფლაციას 1.0 პპ-ით ამცირებდა, ხოლო გაზრდილი საბანკო მომსახურების და ბინის დაქირავების ღირებულება ინფლაციას შესაბამისად, 0.4 პპ-ით და 0.2 პპ-ით ზრდიდა.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს შემცირდა და 3.1% შეადგინა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ინფლაციის შემცირებას მეტწილად იმპორტული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში იმპორტულ ინფლაციას მკვეთრად კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. ივლისში იმპორტირებული საქონლის წლიური 7.4%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა. დაახლოებით ასეთივე დინამიკას აქვს შერეულად წარმოებული პროდუქტების ფასებს, რომელთა დეფლაცია ივლისში 4.5%-ს გაუტოლდა.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 1.3 პპ-ით მოიკლო, თუმცა ჯერ ისევ მაღალია და 7.2% შეადგენს. წინა თვესთან შედარებით ადგილობრივი ინფლაციის შემცირება მეტწილად ზოგიერთი მომსახურების და სურსათის საბაზო ეფექტის ამოწურვის ხარჯზე მოხდა. ჯერ კიდევ მაღალ ადგილობრივ ინფლაციას მომსახურების წლიური გაძვირება (8.7%) განაპირობებს. მომსახურების ინფლაციის წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში 5.1 პპ-ია. თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში მაღალი წვლილი აქვს საბანკო მომსახურების გაძვირებას (1.6 პპ მომსახურების ინფლაციაში) და გასულ წელს უცხოელთა რაოდენობის მკვეთრი მატების შედეგად გაზრდილ ბინის ქირის ღირებულებას (0.9 პპ მომსახურების ინფლაციაში).

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2023 წლის წონებები	ივლ23/ივლ22		ივლ23/ივლ21	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.0%	0.0%	0.3%	0.3%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	-0.2%	-0.1%	1.2%	0.4%
სურსათი	30.9%	-0.3%	-0.1%	0.8%	0.2%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-0.4%	0.0%	-4.2%	-0.3%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	-0.5%	0.0%	6.8%	0.5%
თევზი	0.5%	-1.8%	0.0%	8.5%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	-1.0%	-0.1%	3.5%	0.2%
ზეთი და ცხიმები	2.6%	-2.8%	-0.1%	-25.7%	-0.8%
ხილი, ყურძენი	1.6%	3.9%	0.1%	-1.5%	0.0%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	0.8%	0.0%	14.7%	0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	0.7%	0.0%	-0.3%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	0.0%	0.0%	-2.0%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.5%	0.0%	5.1%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	-0.4%	0.0%	6.3%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	-2.0%	-0.1%	0.7%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.6%	0.1%	4.9%	0.4%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	-2.3%	-0.1%	1.2%	0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	-0.5%	0.0%	-6.9%	-0.7%
ტრანსპორტი	12.3%	1.8%	0.2%	-12.1%	-1.7%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.3%	0.0%	-3.0%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	0.8%	0.0%	-0.3%	0.0%
განათლება	4.4%	0.1%	0.0%	6.9%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	1.0%	0.0%	9.7%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	-0.2%	0.0%	11.1%	0.6%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	-0.3%	-0.2%	-2.4%	-1.5%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	-1.6%	-0.1%	0.3%	0.0%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	0.2%	0.0%	-8.7%	-0.5%
მომსახურება	24.4%	0.9%	0.2%	8.7%	2.1%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


ივნისში, საბანკო სექტორის სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 8.4 მლრდ ლარით გაიზარდა (თვითნებად 1.2 მლრდ ლარით გაიზარდა) და 46.7 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 22.0%-ით გაიზარდა, ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. ივნისში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიციო ვალდებულებები 392.9 მლნ ლარით (1.7%-ით) გაიზარდა და 22.9 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, მიმდინარე ანგარიშების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 216.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ივნისში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 34.9 მლნ ლარით გაიზარდა.

სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 6.6% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 8.7%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი პრაქტიკულად არ შეცვლილა და 1.0%-ს შეადგენს. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, რაც ლარის და ევროს დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის კლებამ განაპირობა. კერძოდ, რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.8% შეადგინა. ევროს დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით, 0.6 პპ-ით 0.8%-მდე შემცირდა. ხოლო, აშშ ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 1.6%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 51.0%-ს შეადგენს. ივნისის ბოლოს, იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.8 პპ-ით გაიზარდა და 38.5% შეადგინა, ხოლო ფიზიკური პირების დოლარიზაცია 0.7 პპ-ით 66.2%-მდე შემცირდა. ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია ივნისში, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით 61.5%-მდე გაიზარდა.


**დავოზიფების დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 13.5%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპმა წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით მოიმატა. ივნისში, ლარით დაკრედიტება წლიურად 15.7%-ით, 25.9 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.1 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუტით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 11.1%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 5.4 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუტით დაკრედიტების ტემპის ზრდა ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდის ტემპის მატებით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში, წინა თვესთან შედარებით, 0.7 პპ-ით გაიზარდა, იპოთეკური სესხების წვლილი კი არ შეცვლილა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი მცირედით შემცირდა თუმცა კვლავ მაღალ დონეზე და მთლიან სესხებში 3.5 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

**სესხების წლიური ზრდის ტემპი
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით შემცირდა და 13.1% შეადგინა. ეროვნული ვალუტით სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.7 პპ-ით 15.9%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 9.0%-ის დონეზეა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სესხებზე (ნაპალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფიზიკური პირების ვალდანი დავოზიფების დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები ბიზნესობრიობის მიხედვით
(წლიური ზრდის ტემპი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და ივნისში 13.7% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.7 პპ-ით შემცირდა და 12.0% შეადგინა. ივნისში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 9.4%-მდე შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით 7.1%-მდე შემცირდა.


ივნისში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით გაიზარდა და 44.9%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 62.1%-ს შეადგენს, ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია არ შეცვლილა და 30.1%-ის დონეზეა. ივნისში ვადაგადაცემული სესხები წინა თვესთან შედარებით 45.7 მლნ ლარით შემცირდა და 424.8 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცემული სესხების 42.2% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცემული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი


2023 წლის ივნისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 1.5%-ით გაიზარდა და 666.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირება საქონლის ექსპორტის ზრდასთან ერთად იმპორტის ზრდის დაბალ ტემპს უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 10.0%-ით 1,215.8 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 22.5%-ით გაიზარდა და 549.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი


საგარეო ბალანსი ძველების მიხედვით (მაისი 2023)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - ივნისში საქონლის იმპორტი წლიურად 10.0%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო სახის საქონლიდან ზრდაში მეტი წვლილები სიგარეტები-სიგარიტების, სამკურნალო საშუალებებისა და საცელეფონო აპარატების შესყიდვებმა შეიძინა, ხოლო დანარჩენი სამომხმარებლო ჯგუფიდან კვლავ მაღალი იყო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, თუმცა ამ უკანასკნელმა შარშანდელთან შედარებით მცირედი ზრდა აჩვენა. გარდა ამისა, მეორე მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების - იმპორტი შემცირდა, რამაც სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია ასევე სარეცხი მანქანებისა და გაყინული ხორცის გაზრდილი იმპორტი. შუალედური სახის საქონლის იმპორტის ჯგუფიდან ნახშირბადიანი ფოლადის წნელებისა და შავი ლითონის მექანიკური დამუშავების იმპორტის ზრდა გამოირჩეოდა, ხოლო რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის, ასევე ძვირფასი მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ფოლადის ნაგლინის იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად საცვრიო ავტომობილების, ტრაქტორებისა და მაცივარ-საყინულეების შესყიდვებმა გაზარდა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 30.0%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მალალი წვლილი შეიძლება თურქეთმა, რაც სამკურნალო საშუალებებისა და სიგარეტები-სიგარიტების შემოტანის მატებას უკავშირდება. აზერბაიჯანიდან იმპორტის მატება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაზრდამ გამოიწვია. უკრაინიდან იმპორტი მცირედით იყო გაზრდილი, უმეტესად ნახშირბადიანი ნაგლისისა და სპირტიანი სასმელების შემოტანის გავლენით. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა გერმანია, ძირითადად მსუბუქი ავტომობილებისა და სამკურნალო საშუალებების მალალი შესყიდვების გამო. ნიდერლანდებიდან იმპორტის მატება სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო მოწყობილობების, იტალიიდან საცვითო ავტომობილებისა და სხვადასხვა ავეჯის, ჩეხეთიდან საცელეფონო აპარატებისა და გამომთვლელი მანქანების ზრდამ განაპირობა. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთიდან ჰაერის კონდიციონერებისა და ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლისის, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან საცელეფონო აპარატებისა და სხვა საფრენი აპარატების, ირანიდან სიგარეტები-სიგარიტებისა და ნახშირბადიანი წნელების, ასევე მოსაპირკეთებელი ფილების, ბრაზილიიდან შაქრისა და გაყინული ხორცის, ხოლო იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების მნიშვნელოვანი ზრდა. ამის საპირისპიროდ, სომხეთიდან და ინდონეზიიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო რუმინეთიდან და თურქმენეთიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


ივნისში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (26%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ ივნისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ივნისთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ივნისი, 2023, მლნ აშშ დოლარი)

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ივნისი, 2023, მლნ აშშ დოლარი)	სამკურნალო საშუალებები, 48		საძვრითო ავტომობილები, 16		საძვრითო ავტომობილები, 16	
	საძვრითო ავტომობილები, 16	საძვრითო ავტომობილები, 16	საძვრითო ავტომობილები, 16	საძვრითო ავტომობილები, 16	საძვრითო ავტომობილები, 16	საძვრითო ავტომობილები, 16
მსუბუქი ავტომობილები, 167	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 97	სიგარეტი/სიგარეტი, 19	ფოლადის ნაგლისი, 12	ჰაერის კონდიციონერები, 12	პარკის კონდიციონერები, 12	პარკის კონდიციონერები, 12

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (ივნისი, 2023)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - ივნისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 22.5%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. **სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (55.7 პპ) მსუბუქმა ავტომობილებმა შეიძინა.** გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების და ელექტროენერგიის ექსპორტი წლიურად არსებითად შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია, რომ ფეროშენადნობების ექსპორტმა ივნისში წლიურად მოიმატა. გარდა ამისა, საინვესტიციო საქონლიდან გამომთვლელი მანქანების, ელექტროლიტრანსპორტის საშუალებებისა და ჰაერის კონდიციონერების მოწყობილობების ექსპორტი მალალი იყო. ივნისში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 19.3%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მაღალი წვლილი შეიძლება სომხეთსა და აზერბაიჯანში ექსპორტის მატებამ, რაც კვლავ მსუბუქი ავტომობილების მნიშვნელოვნად გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან რუსეთში ექსპორტის მატება ყურძნის ნაფურალური ღვინოების, მსუბუქი ავტომობილებისა და მინერალური წყლების გაყიდვების ზრდის გავლენით მოხდა, თუმცა ფეროშენადნობების ექსპორტი წლიურად კვლავ ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მაღალი რეექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი, იანვარ-მაისის მსგავსად, ივნისში კვლავ დადებითი იყო. აღსანიშნავია, რომ სამკურნალო საშუალებების მაღალი ექსპორტის გამო, აპრილი-მაისის მსგავსად, უზბეკეთთან ასევე დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბულგარეთში სპილენძისა და კონცენტრატების, აშშ-ში ფეროშენადნობების, პერუსა და ცანზანიაში მინერალური და ქიმიური სასუქების, პოლონეთში გამომთვლელი მანქანებისა და ბლოკების, ჩეხეთში ელექტროლიტების, კრანსფორმაციების, ხოლო ერაყში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, ჩინეთსა და ბულგარეთში სპილენძის მადნების და კონცენტრატების, თურქეთში ელექტროენერგიის, უკრაინაში მსუბუქი ავტომობილების, ინდოეთში მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 78% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


ივნისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (36%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. მაღალი იყო ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ყურძნის ნაფურალური ღვინოების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (26.1 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 2.5-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე მტკნარ წყლებზე, დაგაზიანებულ წყლებზე, სპირტიან სასმელებზე, ყურძნის ნაფურალურ ღვინოებსა და სიგარეტები-სიგარიტებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება (ჯამურად 6.3 პპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ელექტროენერგიის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ივნისი 2023, მლნ აშშ დოლარი)

	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 26	ფეროშენადნობები, 23	ყურძნის ნაფურალური ღვინოები, 23
	ელექტროენერგია, 22	სპირტიანი სასმელები, 15	მინერალური წყლები, 13
მსუბუქი ავტომობილები, 196	სიგარეტები/სიგარიტები, 16	ქიმიური სასუქები, 13	გაზიანი წყლები, 13

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ივნისი 2023)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - ივნისში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 17.4%-ით დაიკლო და 353.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 2.5%-ით 28.8 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები ივნისში კვლავ მაღალი იყო (129 მლნ აშშ დოლარი), თუმცა წლიურად 44%-ით ნაკლებია. ივნისში, რეგიონის ქვეყნებიდან, თურქეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მნიშვნელოვნად (26.5%-იანი ზრდა) გაიზარდა, ხოლო ყირგიზეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 45.9%-ითა და 24.7%-ით. გარდა ამისა, ყაზახეთიდან გადმორიცხული თანხები მცირედით ნაკლები იყო, ხოლო უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე დარჩა. მაღალი ცემპით გაიზარდა აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (40.0%-ით). აღსანიშნავია, რომ ზრდას განაგრძობს ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილებიც. **ივნისში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (36.6%), ევროკავშირის ქვეყნები (32.3%) და აშშ (11.0%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (ივნისი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.5343-დან 2.6178-მდე (3.3%-ით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.7574-დან 2.8359-მდე (2.8%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6177 და 2.8591 შეადგინა. ივნისში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.6396, ხოლო მინიმალურმა 2.5972 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო დონიდან თანაბრად იყო გადახრილი.


ივნისში დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირის, რუსული რუბლისა და ლარის გაუფასურება, ასევე შედარებით მცირედით გაუფასურდა ევრო და სომხური დრამი, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (2023 წლის ივნისი; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. ივნისში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 17.4%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 28.9%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ცვლადობას, წინა თვესთან შედარებით, ივნისში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.1%-ით გაუფასურდა, ხოლო, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.3%-ით გამყარდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


სსავაჭრო პარტნიორთაგან ივნისში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ევროზონაში, აშშ-ში, ბელარუსსა და რუსეთში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - სომხეთში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციებში კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური
გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები
(2023 წლის ივნისი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის დინამიკები


ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 4¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად კონცენტრაცია გარიგებების მოცულობის მიხედვით გაზრდილი, ხოლო გარიგებების რაოდენობის მიხედვით შემცირებულია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის
მთლიანი საპაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის
მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების
მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა წლიურად გაიზარდა, ხოლო თვიურად შემცირდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 299.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 30.7 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წინა წლის ივნისთან შედარებით 136.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 11.5%-ით, ხოლო წლიურად 0.8%-ით შემცირდა.

ივნისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.4%) და 3,109.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 776.7 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 113.0 მლნ აშშ დოლარით) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 5.0% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 137.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ერთი სავალუტო აუქციონის მეშვეობით ბაზარს 17.1 მლნ აშშ დოლარი მიეწოდა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



*ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, ივნისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 383.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 22.7 მლნ აშშ დოლარით) და 1,551.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 393.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 90.3 მლნ აშშ დოლარით) და 1,558.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა


ივნისში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 6.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 3.8 მლნ აშშ დოლარით) და 17.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ -6.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შეძენილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 61.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 5.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ და, ასევე, სახელმწიფო საწარმოების მიერ განხორციელებულმა შესყიდვებმა (ძირითადად, ბუნებრივი აირის შესყიდვა, რომლის მომსახურების საფასურიც რეზერვებიდან კონვერტირდება) იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ივნისში სადებოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიციო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და ივნისის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


ივნისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ივნისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 90 და 60 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 195.8 მლნ ლარით გაიზარდა და 7,441.8 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 53.6%-ს კომერციული ბანკების, 30.5%-ს ეროვნული ბანკის, 11.1%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.8%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიციო სერთიფიკატების მოცულობა (ნაპადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში, სადებოზიციო სერთიფიკატების საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები კი მცირედით შეიცვალა. კერძოდ, ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.45 პპ-ით, 9.33%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 9.49%-ზე შენარჩუნდა. მცირედით შეიცვალა ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი და 8.66%-ს შეადგენდა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 9.66% შეადგინა, ხოლო ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ვალდებულებები 0.2 პპ-ით და 0.1-პპ-ით შემცირდა, და შესაბამისად 8.46% და 8.19% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში, ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 2,116.7 მლნ ლარით, (წლიურად 1,326.7 მლნ ლარით გაიზარდა) 12,037.1 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეცნილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი, მიუხედავად შემცირებისა, უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (59.0%), რომლის მოცულობაც თვიურად 554.5 მლნ ლარით (7.2%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 2,671.2 მლნ ლარით (118.0%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე როგორც ლარის, ასევე უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.16 პპ-ით და 0.57%-ით გაიზარდა და შესაბამისად 10.33% და 2.58% შეადგინა.


აღსანიშნავია, რომ ივნისში ფულადი ბაზრის რესურსის 39.7% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 59.0% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ლარის შავოშავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აგრეგატები

ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 153.5 მლნ ლარით (2.5%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.2 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 104.1 მლნ ლარით (1.7%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 57.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 17.1 მლნ აშშ დოლარი. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა ივნისის განმავლობაში 137.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 63 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ივნისში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 253.8 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,155.3 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე თვეში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 151.8 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 140.0 მლნ ლარით გაიზარდა და 900.0 მლნ ლარი შეადგინა. ივნისში ერთთვიანი სესხი არ გაცემულა და შესაბამისად მისი ნაშთი უცვლელია. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდაჭერი სესხის ნაშთი 2.0 მლნ ლარით შემცირდა და 40.0 მლნ ლარს შეადგენს. ივნისში განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. ივნისში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 17.1 მლნ დოლარი გაყიდა და შესაბამისად ბაზრიდან 45 მლნ ლარის მოცულობა ამოიღო. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 138.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 880.6 მლნ ლარს გაუტოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 60.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 60.0 მლნ ლარით გაიზარდა.


ივნისში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვითრად 1569.9 მლნ ლარით გაიზარდა, როგორც ეროვნული ასევე უცხოური ვალუდით დეპოზიტების მატების გავლენით. M2 აგრეგატის ზრდა (819 მლნ ლარით ზრდა) მეტწილად ეროვნული ვალუდის დეპოზიტების ზრდამ განაპირობა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

